# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 20 სექტემბერი 2003 №178 (1949) ფასი 50 თეთრი

## ბიძინა გეგიძის... რას გინდათ, ის დაარქვით:



## მე ავსტრალიაში არ მივდივარ! აქცია! მთავრობამ მათხოვრად გვაქცია

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

## საქმე შემმეზზე





მანჩესტერი vs არსენალი





იუვენტუსი vs რომა

## მიშელ იაშვილი ავსტრალიაში ორი შვილით და ორი ნაკრებით მიდის



## მე დავრწმუნდი, რომ ქართველებს რაგბის თამაშის საოცარი ალღო აქვთ

ინტერვიუ მიშელ იაშვილთან იხილეთ მეთექვსმეტე გვერდზე

*თბილისური „ვიტ ჯორჯიას" 19 წლის თავდამსხმელი ოთარ მარცვალაძე საქართველოს მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის აღმოჩენაა. მართალია, ამ სეზონში ჯერ მხოლოდ შვიდი ტური მიილიაა, მაგრამ მარცვალაძემ ამ მცირე ხანშიც შეძლო გულშემატკივრების ყურადღების მიპყრობა. ის „ვიტ ჯორჯიასთვის" არ არის რიგითი ფეხბურთელი, ის ლიდერია, კაცი, რომელსაც თამაშის მოგება შეუძლია. ამ შვიდ ტურში მრავლად იყო მატჩები, სადაც მარცვალაძემ ლომის წილი დაიდო თავისი გუნდის გამარჯვებაში.*

*ასეთი დასაწყისის მიუხედავად, ოთარს ახლა ყველაზე რთული პერიოდი უდგას – მან საკუთარ თავს, პრესას, ქებას და კრიტიკას უნდა აჯობოს. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, საქართველომ კიდევ ერთი იმედისმომცემი ფეხბურთელი შეიძინოს.*

*გუშინ ოთარ მარცვალაძე „სარბიელის" რესპონდენტი იყო*



# თავმდაბალი თავდამსხმელი

## ფეხბურთელი ყრუ უნდა იყოს. ქებისთვის

— „ვიტ ჯორჯიამ" ჩემპიონატი კარგად დაიწყო და ერთ-ერთი ლიდერიცაა. ცხადია, კმაყოფილი იქნები...

— რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ. თითქმის ყველა მატჩი მაღალ დონეზე ჩავატარეთ და ვფიქრობ, ცხრილის სათავეშიც სამართლიანად ვართ. ბიჭები, მწვრთნელები და ხელმძღვანელობა ასეთი შედეგით კმაყოფილია. ნაღდად არ მეგონა, ასე თუ ვითამაშებდით. ახლა მთავარია ტემპი არ დავაგდოთ.

— „ვიტ ჯორჯიაში" წინა სეზონშიც იყავი, მაგრამ შედარებით ცოტას თამაშობდი. ახლა ეს პრობლემა არ გაწუხებს...

— ვთვლი, რომ უმაღლეს ლიგაში დებიუტი სწორედ ამ სეზონში მქონდა და არა წინაში. შეიძლება ცუდად გამომდის, მაგრამ საკუთარი თამაშითაც კმაყოფილი ვარ. არ იფიქროთ, თითქოს თვითკმაყოფილი ვარ და ამაზე გაჩერებას ვაპირებ. უბრალოდ, არ ველოდი ასეთ წარმატებულ დებიუტს. ვგრძნობ, რომ კიდევ უფრო მეტი შემიძლია. ამიტომ ახლა უფრო თავდაუზოგავი ვარჯიში და შრომა მომეთხოვება.

**— სეზონის წინ ლევან მელქაძის „დინამოში" გადასვლის შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ „ვიტ ჯორჯიას" ძალიან გაუჭირდებოდა. პირიქით კი მოხდა: გუნდს ბლომად გოლები გააქვს და კვლავაც ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია.**

— ლევანი რომ ძალიან დაგვაკლდა, საკამათო არ არის. ის „ვიტ ჯორჯიასთვის" დიდი ძალა იყო, მაგრამ ჩვენდა გასახარად, გუნდს ეს მართლაც არ ეტყობა. ჩემი აზრით, მელქაძის არყოფნას უფრო გუნდური თამაშით ვანაზღაურებთ.

**— რა არის მარცვალაძის კოზირი?**

— სისწრაფე.

**— უარყოფითი მხარე?**

— თავით თამაში მიჭირს. ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოვასწორო.

**— ორივე ფეხს თანაბრად ხმარობ?**

— უფრო მემარჯვენე ვარ, მაგრამ არც ისეა საქმე მარცხენას მხოლოდ დასადგომად ვიყენებდე. თუ გამიჭირდა, ცაციასაც ვამუშავებ.

**— დასამალი რა არის, ფაქტია, შენ ახლა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფეხბურთელი ხარ. პრესაც დიდ ყურადღებას გაქცევს და გულშემატკივარიც...**

— ჰო, ვგრძნობ. ეს ფეხბურთია და ხალხს სალაპარაკო მუდამ ექნება. მიხარია, რომ ჩემით ბევრი დაინტერესდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დატკბე ამით. ვარსკვლავურ ავადმყოფობაზე ფიქრიც სისულელეა. ჩემი საქმე თამაშია, პრესის და გულშემატკივრების კი — მისი შეფასება. ასე რომ, ეს ხელს არ მიშლის.

**— ახლახან დებიუტი ახალგაზრდულ ნაკრებშიც გქონდა...**

— ძალიან გამიხარდა, როცა ნაკრებში მიმიწვიეს, მაგრამ ჩემი დებიუტით მთლად კმაყოფილი არ ვარ. ისე ვერ ვითამაშე, როგორც შემეძლო. ჩემს პოზიციაზეც არ ვიყავი, თუმცა ამაზე წუწუნს არ ვაპირებ. მწვრთნელმა იქ მათამაშა, სადაც საჭირო იყო. მწვრთნელის წინააღმდეგ კი არასოდეს წავსულვარ. ეს ნაკრებია და საკუთარ თავზე ფიქრს გუნდისთვის სარგებლის მოტანა სჯობს. სადაც ნაკრებს დავჭირდები, იქ ვითამაშებ.

**— პოზიციას „ვიტ ჯორჯიაშიც" იცვლი. მაინც რომელია შენი ამპლუა?**

— დიდი მნიშვნელობა არა აქვს ნახევარმცველად ვითამაშებ თუ თავდამსხმელად, მაგრამ მაინც მგონია, რომ მე თავდამსხმელად უფრო სასარგებლო ვარ.

**— ალბანეთის ახალგაზრდულ ნაკრებს ოთხ დღეში ორჯერ ეთამაშეთ. ეს მატჩები ერთმანეთისგან ცა და მიწასავით განსხვავდებოდა...**

— ბოლნისში მეტოქეს იოლად ვძლიეთ, ალბანეთში კი ულაპარაკოდ წავაგეთ. რისი ბრალია, ზუსტად ვერ გეტყვით. ვფიქრობ, მეორე მატჩისთვის სათანადოდ ვერ მოვემზადეთ. ალბანეთში გადაუღებლად წვიმდა და ვარჯიში ძალიან რთული იყო. მოედანიც პლაჟს გავდა — სველი და რატომღაც ქვიშიანი. რა ვიცი, რას დავაბრალო. გადაღლილებიც ვიყავით...

**— „ვიტ ჯორჯიას" დავუბრუნდეთ. ხვალ „ლოკომოტივთან" მატჩი გელით...**

— ამ მატჩისთვის სერიოზულად ვემზადებით. ბიჭები იმედიანად არიან და მეტოქე აუცილებლად უნდა დავამარცხოთ. საბედნიეროდ, ყველა ჯანზე ვართ...

**— მეტოქეზე რას იტყვი?**

— „ლოკომოტივი" ჯერაც არაა ბოლომდე შეკრული გუნდი, მაგრამ მაინც ჩვენი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტია. მძიმე თამაში გველის, თუმც მოსაგებად არაფერს დავიშურებთ.

**— „ვიტ ჯორჯიას" საამსეზონო მიზანი რა არის?**

— ჩემპიონები თუ გავხდებით, ამას რა აჯობებს. ეს ჩვენი უმთავრესი მიზანია. ისე კი, სამეულში აუცილებლად უნდა მოვხვდეთ.

**— ჩემპიონობასთან ახლოს შარშანაც იყავით, მაგრამ ბოლო ტურებში მოისუსტეთ...**

— ეს რაღაც აუხსნელი რამ არის ჩემთვის. ბოლო ორი წელია, თითქოს გუნდს ჩემპიონობასთან არაფერი აშორებს, მაგრამ... არ ვიცი, ალბათ ფსიქოლოგიურად არ ვიყავით მზად. როცა ყველაფერი ჩვენზე იყო დამოკიდებული, მაშინ გავჩერდით.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებ?**

— წლეულს ზოოვეტში ჩავაბარე. რომ გითხრა სწავლისთვის თავს ვიკლავ და ვგიჟდებიო მართალი ნაღდად არ ვიქნები. რა ვიცი, ვარჯიში, დასვენება, მეგობრები — ძირითადად ამით გამყავს დრო.

**— წამით ჩათვალე რომ ფეხბურთი არ არსებობს. ვინ იქნებოდა მარცვალაძე?**

— ამაზე არასოდეს მიფიქრია. ყოველთვის ფეხბურთელობა მინდოდა. სხვა ოცნება არ მქონია.

**ძახა შალამბერიძე**

# ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი



### რეზო არველაძე:

# დაკმაყოფილება? გააჩნია, რა შემთხვევაში

*თუ ხვალ კაცი „შევარდენის" სტადიონზე წავა, იქნებ არც ინანოს — „ვიტ ჯორჯიას" და „ლოკომოტივის" დაპირისპირება ძალიან მადისაღმძვრელად მოსჩანს დაძაბული მატჩების მოყვარულთა საცდუნებლად.*

*რკინიგზელთა გუნდის დამრიგებელ* ***რევაზ არველაძეს*** *გუშინ „ლოკომოტივის" ვარჯიშის შემდეგ ვესაუბრეთ.*

**— „ლოკომოტივი" სეზონის დაწყების წინ ჩაიბარეთ — რისი გაკეთება მოასწარით ამ დროისთვის?**

— მეგონა, რომ ამ დროისთვის უფრო მეტის გაკეთებას შევძლებდით, მაგრამ სამწუხაროდ ეს ვერ მოვახერხეთ — ოპტიმალურ მდგომარეობას ჯერაც ვერ მივაღწიეთ. ჩვენი ნომერ პირველი პრობლემა ისაა, რომ ფორვარდები თითქმის არ გვყავს — ლევან ხომერიკმა ფაქტობრივად, ახლა დაიწყო თამაში, გიორგი მიქაძეს მოსამზადებელი შეკრება არ გაუვლია, ვლადიმერ კობახიძემ კი თიაქარის ოპერაცია გაიკეთა და ამიტომ ვერ თამაშობს. ამას დაემატა რევაზ ქემოკლიძის ტრავმა, გუნდიდან წავიდა გიორგი ლომაია. „ვიტ ჯორჯიასთან" დისკვალიფიკაციის გამო არ გვეყოლებიან თენგიზ სიჭინავა და გიორგი მანწკავა, ხოლო ზაზა ზამთარაძემ ტრავმის შემდეგ შეიძლება ითამაშოს ვიტელთა წინააღმდეგ.

**— როგორ ფიქრობთ, ასეთ მდგომარეობაში მყოფი „ლოკომოტივი" რას გახდება სტუმრად „ვიტ ჯორჯიასთან"?**

— თუ იქნება სერიოზული მონდომება, სათანადო განწყობა და თუ მოედანზე არაფერს არ დავუთმობთ მეტოქეს, შანსი ყოველთვის არის. თანაც არა მგონია, „ვიტ ჯორჯია" „დინამოზე" ძლიერი იყოს, რომელსაც ტოლ-სწორად ვეთამაშეთ მიუხედავად დამარცხებისა.

**— „ვიტ ჯორჯიასთან" შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— ორმოცდაათი ორმოცდაათზე.

**— მატჩი რომ ფრედ დამთავრდეს, კმაყოფილი დარჩებით?**

— გააჩნია, როგორი თამაში წავა, თუ უპირატესობა მეტოქეს ექნება, კი. თუ ჩვენ ვითამაშებთ უკეთ და ვერ მოვიგებთ, ცხადია, არა.

**— „ვიტ ჯორჯიას" როგორ დაახასიათებდით?**

— საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე კარგი გუნდია, დაბალანსებული, კარგა ხანია, რაც მისი ფეხბურთელები ერთად თამაშობენ — კლუბსაც და გუნდსაც ჩამოყალიბებული სტრატეგია აქვთ.

**— ერთი კითხვაც, სისწრაფეში რომელს აქვს უპირატესობა, „ვიტ ჯორჯიას" თუ „ლოკომოტივს"?**

— ისეთი სწრაფი ფეხბურთელები, როგორებიც ვიტჯორჯიელი ოლეგ გველესიანი და ოთარ მარცვალაძე არიან, შეტევაში ჩვენ არ გვყავს. სამაგიეროდ დაცვაში დავიტრაბახებთ სწრაფი მოთამაშეებით. ქემოკლიძე რომ არ გვაკლდეს, ვიტყოდი, რომ „ვიტ ჯორჯიას" სისწრაფეში ჩვენზე უპირატესობა არ ექნება.

**დავით თამართქილაძე**

### ინგლისი

**კონფერენსლიგა. IX ტური**

ბარტონი 4:1 ჰერეფორდი

### გერმანია

**II ბუნდესლიგა. VI ტური**

უნიონი 1:2 ლიუბეკი

ალემანია 2:1 დუისბურგი

რეგენსბურგი 1:2 არმინია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა VIII ტური**

ესენი 2:0 დინამო

### უკრაინა

**უმაღლესი ლიგა. IX ტური**

შ. დონეცკი 2:0 ბორისფენი

ტავრია 0:2 დნიპრო

### ირლანდია

**პრემიერლიგა. XXI ტური**

უოტერფორდი 0:0 სენტ პატრიკსი

კორკ სიტი 1:2 ბოჰემიანსი

შემროკ როვერსი 2:0 დუბლინი

შელბურნი 2:1 ლონგფორდ თაუნი

### პოლონეთი

**I ლიგა. VI ტური**

ლეგია 4:1 ვისლა

### პორტუგალია

**სუპერლიგა. V ტური**

მარიტიმუ 1:1 ბრაგა

### თურქეთი

**სუპერლიგა. V ტური**

ტრაბზონი 2:1 სამსუნი

### ჰოლანდია

**I დივიზიონი. V ტური**

ვოლენდამი 2:3 ნაიმეგენი

**II დივიზიონი. VII ტური**

ტელსტარი 4:2 კამბური

აპელდორნი 4:2 ვეენდამი

ჰერაკლესი 3:0 ეინდჰოვენი

ეძსელსიორი 2:0 მაასტრიხტი

დორდრეხტი 0:3 ჰაარლემი

იგლსი 2:3 სპარტა

ემენი 0:2 დენ ბოსხი

ჰელმონდი 1:0 სიტარდი

ვენლო 0:1 გრააფსხაპი

### რუსეთი

**პრემიერლიგა. XXV ტური**

ზენიტი 2:1 სპარტაკი



გამოჯანმრთელებული რატი ალექსიძე (მარცხნივ) კახა დაუშვილის „სიონს“ დღესაც შეუტევს



გელა კიკალეიშვილი და ვლადიმერ გუცაევი დებიუტს ამ უქმეებზე მოიწყობენ



# თბილისი ქუთაისის წამალია

ქართულ უმაღლეს ლიგაში საქმე ისე აეწყო, თითოეული ტურისგან პირველ რიგში მწვრთნელთა ცვლას ველით. დღეს-ხვალ სამი გუნდი ახალი თავკაცით ითამაშებს.

„მცხეთას“ ბათუმში დიდი ქართველი მეცხრე ნომერი — ვლადიმერ გუცაევი ჩაიყვანს. ქუთაისში კი სულ თოთო მწვრთნელები, გელა კიკალეიშვილი და გიორგი დევდარიანი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

მერვე ტური ორდღიანია და შაბათის ცენტრალური მატჩი თბილისშია. ლიდერი „დინამო“ მესამეზე მყოფ „სიონს“ უმასპინძლებს. მწვრთნელზე სათქმელს აქაც ვერ ავცდებით. ბოლნისელებს მეორედ გაუძღვება ძველი დინამოელი ოთარ გაბელია. წესით, „ეროვნულზე“ დიდი კბილთაღრჭიალი უნდა იყოს, მაგრამ „სიონი“ „დინამოსთან“ სტუმრად ტრადიციულად სუსტად თამაშობს და თავს უნდა აჯობონ ბოლნისელებმა, შუშაკელებს დიდი წინააღმდეგობა რომ გაუწიონ. „დინამოს“ დიდი ძალა — რატი ალექსიძე დაუბრუნდა, „სიონი“ კი ჩვეული მებრძოლი ჟინის და თავგამოდების იმედად უნდა იყოს, ეგ არის, ეს ყოველივე ბოლნისელებს საშინაო მატჩებში უფრო ეტყობათ. „სიონს“ ექსდინამოელი — გიორგი შენგელია დაუბრუნდა ბულგარეთში უიღბლო სტუმრობის შემდეგ, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, პრაქტიკამოკლებული შენგელია გაბელიამ დღეს ლიდერთან ათამაშოს.

ზემოთ დებიუტანტ მთავარ მწვრთნელთა დუელი ვახსენეთ და ხვალ კარგი შანსი აქვს კიკალეიშვილს, მოგებით დაიწყოს, რაკილა არასტაბილურ, წაგებასდაჩვეულ „თბილისს“ მასპინძლობს. ეს თამაში წესით დღეს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ქუთათურებმა მისი 24 საათით გადადება ითხოვეს. მიზეზი საზეიმოა: ხვალ ქუთაისი ბაგრატობას აღნიშნავს, ქალაქიც დღესასწაულის მოლოდინშია და ამ დღეს ქუთათურები ფეხბურთითაც „გაამდიდრებენ“.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ „ტორპედოს“ კრიზისიც ცხადია, მაგრამ დიდი შანსია, „თბილისი“ წამლად გამოადგეთ ქუთაისელებს. ხვალ თუ კიკალეიშვილმა თავისიანებს გაამარჯვებინა, სატურნირო ვითარებას ქუთაისიდანაც შეეხედება და, რაღა თქმა უნდა, რიონისპირელები ამ შანსის გამოყენებას შეეცდებიან.

ისეთივე უჩვეულოა გორელთა პროგრესი, როგორც „დილას“ დღევანდელი მეოთხე ადგილი. ქართლელებს „ლოკომოტივზე“ სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი აქვთ, რაკილა აუტსაიდერ „სპარტაკს“ ხვდებიან. დებიუტანტმა თბილისელებმა ბოლოსწინა ტურში ალმავლობით ითამაშეს „მცხეთასთან“ (2:1), მას შემდეგ დიდ ბრძოლაში დამარცხდნენ ფავორიტ „ვიტ ჯორჯიასთან“ და დღეს უბრძოლველად არაფერს დათმობენ, თუმცა „დილას“ სადღეისო მეტოქის მოშთობა მაინც შეუძლია, რაკილა კლასით დ გამოცდილებით უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს.

„კოლხეთი“ შეეცდება, „მერცხალთან“ საშინაო მატჩი მოიგოს. გია ტყებუჩავას გუნდი დამუხტულ-გალიზიანებულია ზედიზედ ორი წაგებით და რაღა გასაკვირია, რომ დებიუტანტ „მერცხალთან“ მოსაგებად გაიწევს, მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთელები წინა ტურში „ტორპედოსთან“ დაზავებით იმედმოცემულნი ჩავლენ ფოთში.

ტურის მნიშვნელოვანი მატჩი კი კვირასაა. თბილისური დერბი — „ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივი“. ვიმედოვნებთ, რომ ქართულ ჩემპიონატს მომდურებული მაყურებელი „შევარდენზე“ მისვლას არ დაიზარებს. ვეტერინარები მარცვალა ბიჭის, გონიერი ოთარ მარცვალაძის იმედადაც იქნებიან. რკინიგზელები კი ჯერაც ტრავმამოუშუშებელ, პოლონეთიდან დაბრუნებულ ლაშა რეხვიაშვილს ვერ დაიხმარენ.

მე-8 ტურის შემდეგ შესაძლოა ზოგ კლუბს ახალი მწვრთნელი დასჭირდეს. ყოველი შემთხვევისთვის, მზად იყავით — რა იცით, რა ხდება.

**ბაატა ძმანტალიანი**

## საქართველოს 15 ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა პირველი ეტაპი 8 ტური

თბილისი. 20 სექტემბერი. 17 საათი. ლოკომოტივი

### სპარტაკი — დილა

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი (ქიათურა); გ. ვადაჭკორია (თბილისი), ნ. რუხიშვილი (ქუთაისი); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი; დირექტორი: შ. ბაქრაძე

ბათუმი. 20 სექტემბერი. 17 საათი. დინამო

### ბათუმი — მცხეთა

მსაჯები: ი. კახიანი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: ვ. ქორიძე

თბილისი. 20 სექტემბერი. 17 საათი. ეროვნული

### დინამო — სიონი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), მ. ელიკაშვილი; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია; დირექტორი: ნ. კაკულია

ფოთი. 20 სექტემბერი. 17 საათი. ფაზისი

### კოლხეთი — მერცხალი

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ო. ხეცაძე (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე; დირექტორი: გ. სორდია

ქუთაისი. 21 სექტემბერი. 17 საათი. ტორპედო

### ტორპედო — თბილისი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. ასკაროლლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი. 21 სექტემბერი. 17 საათი. შევარდენი

### ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; დირექტორი: მ. კვარაცხელია



„ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივის“ ჯახში თავებიც გატეხილა

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 7 | 5 | 1 | 1 | 23:3 | 20 | 16 | 4 | 3 | 1 | 0 | 17:1 | 16 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 6 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 15:4 | 11 | 16 | 4 | 4 | 0 | 0 | 13:1 | 12 | 12 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 4 |
| 3 | სიონი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:5 | 5 | 14 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 5 |
| 4 | დილა | 7 | 4 | 1 | 2 | 10:5 | 5 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 |
| 5 | ტორპედო | 7 | 3 | 2 | 2 | 6:5 | 1 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 10 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | -4 | 1 |
| 6 | ლოკომოტივი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 1 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 |
| 7 | კოლხეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 6:6 | 0 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 3 |
| 8 | თბილისი | 7 | 2 | 1 | 4 | 9:12 | -3 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | -3 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 6:6 | 0 | 3 |
| 9 | მცხეთა | 7 | 2 | 1 | 4 | 7:16 | -9 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:12 | -10 | 1 |
| 10 | ბათუმი | 7 | 2 | 0 | 5 | 4:10 | -6 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 3 |
| 11 | მერცხალი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:17 | -11 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:14 | -11 | 0 |
| 12 | სპარტაკი | 7 | 1 | 1 | 5 | 2:16 | -14 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:11 | -11 | 1 |

**სტატისტიკა**

| ჯარ. | კუთხ. | კარისკენ | კარში | თამაშგ. |
|---|---|---|---|---|
| 99 | 62 | 78 | 68 | 22 |
| 106 | 41 | 45 | 53 | 37 |
| 113 | 36 | 49 | 48 | 19 |
| 116 | 36 | 37 | 35 | 16 |
| 94 | 39 | 37 | 38 | 20 |
| 109 | 24 | 30 | 35 | 15 |
| 108 | 28 | 31 | 36 | 28 |
| 135 | 36 | 36 | 39 | 25 |
| 115 | 17 | 32 | 25 | 25 |
| 106 | 17 | 22 | 14 | 14 |
| 134 | 22 | 25 | 20 | 20 |
| 106 | 21 | 30 | 25 | 19 |

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 8 - | ახალაია | დინამო |
| 5 - | დავითაშვილი | თბილისი |
| | გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| | მელქაძე | დინამო |
| 4 - | გონჩაროვი | სიონი |
| 3 - | სულთანიშვილი | დილა |
| | მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| | სირაძე | ლოკომოტივი |
| | ძოძუაშვილი | დილა |
| | დარასელია | დინამო |
| | ბობოხიძე | დინამო |

# შუბითიძე ფეხბურთელებთან არ მეგობრობს

*მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურშიც იყოჩაღა რუსთაველმა ხვიჩა შუბითიძემ. ქართველი შემტევის აუე ამბიციურ „ნიურნბერგს" მასპინძლობდა. პირველ ბუნდესლიგამოვლილი „ნიურნბერგი" მეორის ფავორიტია და რაღა გასაკვირია, რომ პატარა აუე-სთან მოსაგებად ჩავიდა. იგებდნენ კიდეც კლასით და გამოცდილებით ძლიერები — „ნიურნბერგი" 2:0-ით დაწინაურდა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში, მაგრამ მასპინძელთ იმედი ჩვენებურის გოლმა გაუჩინა. შუბითიძის გოლმა აუე-ს თავდაჯერება კი შემატა, მაგრამ სტუმარმა ერთ საპასუხოს მესამე გოლი მიაყოლა, თუმც შუბითიძემ და მისმა თანაგუნდელებმა ბოლომდე იბრძოლეს და მატჩი 3:3 დასრულდა*



## ქართველი თავდამსხმელი ძმის გულისთვის დააჯარიმეს

**გუშინწინ** ხვიჩა შუბითიძე დააჯარიმეს. აეროპორტში მიდიოდა ძმის დასახვედრად და სიჩქარის გადაჭარბებისთვის გააჩერეს გერმანელმა ავტოინსპექტორებმა. სიჩქარე შუბითიძეს მოედანზეც სჩვევია, ქარივით სწრაფი და მცველთა ამწიოკებელი — ასე შეაფასა რუსთაველი თავდამსხმელი „ნიურნბერგთან" მატჩის შემდეგ გერმანულმა „KICKER"-მა. ხვიჩა შუბითიძეს გუშინ ცვიკაუში დავუკავშირდით.

**— რუსთავიდან ძმის სტუმრობა ალბათ დამატებითი სტიმული იქნება.**

— იმედი მაქვს, რომ ასე იქნება. ჩემი ძმა ერთი კვირით მესტუმრა. როცა ჩამოსულა, ყოველთვის მოგვიგია და ალბათ ტრადიციას არც ამჯერად ვუღალატებთ.

**— ვიცით, რომ უმცროსი ძმაც გყავს...**

— ჰო, გოჩა პატარაა. რუსთავის „გორდას" საბაზო გუნდში თამაშობს, კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ — ვნახოთ, რას იზამს.

**— „ნიურნბერგთან" შენი თამაში გერმანულმა მედიამ კარგად შეაფასა...**

— აუტსაიდერთა შორის ვართ და ჩემი თავის კმაყოფილი ვერ ვიქნები. „ნიურნბერგთან", ფაქტობრივად, წაგებული თამაში შემოვატრიალეთ და ალბათ ჩვენი გაქანების გუნდს ეს აქტივში უნდა ჩაეთვალოს. 0:2-ს ვაგებდით, კუთხურისას რომ შევაგდეთ. მერე 1:3-იც იყო და როგორღაც გამოვძვერით.

**— „ნიურნბერგი" ბუნდესლიგის კანდიდატად ითვლება...**

— ასეა, კლასით და გაქანებით ჩვენზე ძლიერი მეტოქეა, მაგრამ მოვინდომეთ. თუმც ამ მატჩმა ცხადყო, რომ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება მეორე ბუნდესლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

**— ტურიდან ტურამდე გოლებით ამტკიცებ, რომ აუე-სთვის სასარგებლო ფეხბურთელი ხარ. კლუბმა პირობები ხომ არ გაგიუმჯობესა?**

— არა, და ამის შანსი არც არის. მე კონტრაქტზე მაქვს ხელი მოწერილი. გერმანელი კი ისეთი არ არის, ჩემმა მარიფათმა გული აუჩუყოს — ჩემს კონტრაქტს ვერანაირად ვერ გავექცევი.

**— სხვა, უკეთესი კლუბების წინადადებები თუ გაქვს?**

— ამ მხრივაც არ ვარ განებივრებული. გერმანულ საფეხბურთო ბაზარზე ბევრი კარგი ფეხბურთელია რიგში და მათ საჯობნად შუბითიძეს ჯერ კიდევ ბევრი გოლი და დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

**— მეორე ბუნდესლიგაში ხუთი ტური მიილია. თუ იგრძნობა აუე-ს თამაშში პროგრესი?**

— პროგრესი ნამდვილად არის და იმიტომ, რომ რეგიონალლიგიდან გადმოსულებს მეორე ბუნდესლიგაში ჩატარებულმა თითოეულმა მატჩმა დიდი გამოცდილება შეგვძინა. პრაქტიკულად ძალიან მნიშვნელოვანია, „ნიურნბერგის" დონის გუნდთან რომ არ ვაგებთ, ეს სამომავლოდ მეტ სტიმულს და იმედს გვაძლევს. კარგი მზარეული რაც უფრო მეტ კერძს გააკეთებს, უფრო დახელოვნდება კულინარიაში. ასე ვართ ჩვენც. ამიტომ ვფიქრობ, რომ ტურიდან ტურამდე მოვუმატებთ და შედეგიც უკეთესი გვექნება.

**— გამოდის, „ოსნაბრიუკთან" საკვირაო გასვლით მატჩში მოსაგებად ითამაშებთ.**

— ასეა. ეს გუნდი წინა სეზონში ჩვენთან ერთად იყო რეგიონალლიგაში. შარშან სტუმრად წავაგეთ „ოსნაბრიუკთან", მაგრამ წლეულს სხვა ვითარებაა. მეტოქეს ჩვენსავით 4 ქულა აქვს, თუმც ჩვენგან განსხვავებით, საამსეზონოდ ძირითადი ბირთვი შემოეცალა და მათთან ჭიდილში მინიმუმ ქულა მაინც უნდა მოვიპოვოთ. „ოსნაბრიუკს" შინ არ მოუგია, ჩვენ კი — სტუმრად და ეგებ ნავსიც გავტეხოთ.

**— სეზონის დაწყების შემდეგ ვინმე თუ შეიმატა აუე-მ?**

— დინო ტოპმიოლერი დავიმატეთ, ცნობილი მწვრთნელის, კლაუს ტოპმიოლერის ვაჟი. ბოლოს „აინტრახტში" იყო, თუმც ტრავმის გამო ოთხი თვე გაუცდა. 23 წლის შემტევი ნახევარმცველია, ვარჯიშებზე ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

**— მასთან დამეგობრება თუ მოასწარი?**

— აუე-ში ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ გამორჩევით არავისთან ვმეგობრობ. მეგობრები რუსთავში და ცვიკაუში მყავს, სადაც ამჟამად ვცხოვრობ და ისინიც არასაფეხბურთო წრიდან არიან.

**ბაატა ძმანტალიანი**



# დუბლპრაქტიკა კარგი იყო
# გეგუჩაძე შუშაკს 3-4 კაცს სთავაზობს



*გია გეგუჩაძემ საამსეზონოდ ჩაიბარა „დინამო 2" – თბილისის „დინამოს" ფარმ-კლუბი, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამოდის. როგორ მიდის ფეხბურთელთა მომზადების, სელექციის საქმე და როგორია კლუბის სტრუქტურა-პოლიტიკა ამ მხრივ – საუბრის თემა გეგუჩაძესთან*

— „დინამო 2"-ის მთავარი მიზანია, ფეხბურთელები მოუმზადოს პირველ გუნდს. „დინამო 2"-ში 1984-86 წლებში დაბადებული ფეხბურთელები ირიცხებიან. სამი მათგანი — ირაკლი სამხარაძე, სანდრო იაშვილი და ზურაბ ექონია — პირველ გუნდში ვარჯიშობენ და ჩვენთან თამაშობენ — ისინი ხანდახან „დინამოს" ძირითადშიც ხვდებიან.

**— კიდევ თუ არიან „დინამო 2"-ში ასეთი ფეხბურთელები?**

— ჩემი აზრით, ამ სამეულის გარდა „დინამო 2"-ში კიდევ 3-4 ისეთი მოთამაშეა, ვისაც შეუძლია, პირველ გუნდშიც მოსინჯოს ძალა.

**— ივო შუშაკი ესწრება „დინამო 2"-ის თამაშებს?**

— რა თქმა უნდა, ის ყველა თამაშს ესწრება — მას „დინამო 2"-ის შესახებ ყველანაირი ინფორმაცია აქვს — კლუბის მწვრთნელთა საბჭოში პირველი და მეორე გუნდების ყველა მწვრთნელი შედის, ასევე „დინამოს" საფეხბურთო აკადემიის წარმომადგენლებიც.

**— „დინამო 3"-ის გაუქმების შემდეგ საფეხბურთო აკადემიას რა პროგრამა აქვს შემუშავებული?**

— „დინამოს" აკადემიამ უკვე ჩამოაყალიბა სამი ასაკობრივი ჯგუფი და შემუშავებულია სამწლიანი პროგრამა. მოედნები იჯარით გვაქვს აღებული. აკადემიის კოორდინატორი კახა კაშია გახლავთ, უფროსი მწვრთნელი ჯემალ მახარაშვილი.

**— „დინამო 2"-ში ასაკოვანი ფეხბურთელები არ თამაშობენ. პირველი გუნდის ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკისთვის ან ტრავმის შემდეგ ფორმის აღსადგენად, შეუძლიათ „დინამო 2"-ში თამაში?**

— ადრე საერთო განაცხადი იყო, ვთქვათ, საბჭოთა კავშირის დროს, როცა დუბლშემადგენლობების ჩემპიონატი ცალკე ტარდებოდა. ეს მისალები პრაქტიკაა და კარგი იქნება, თუ აღდგება — თავის დროზე ალექსანდრე ჩივაძეს და დავით ყიფიანსაც კი უთამაშიათ დუბლებში ტრავმის შემდეგ ფორმის აღსადგენად. მაგრამ ახლა ჩემპიონატის დებულებით ასეთი რამ აკრძალულია. მხოლოდ პირველ გუნდს შეუძლია ფარმ-კლუბიდან ხუთი ფეხბურთელის აყვანა.

**დავით თავართქილაძე**


# ყურადღება!

**ფკ ამერის საფეხბურთო სკოლამ დაიწყო 1990-1996 წლებში დაბადებული ბავშვების მიღება**

ჩვენი მისამართია: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევთან), ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე

ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66

# თავადი მორიენტესი მეფის ერთგულია

*ყოფილი „რეალელი" ფერნანდო მორიენტესი ფრანგულ „მონაკოს" კარგად მოერგო — მისი სიჩაუქის წყალობით ფრანგებმა ნიდერლანდულ პსვ-სთან ჩემპიონთა ლიგის გასვლით მატჩში მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმეს, მაგრამ „ელ მოროს" მადრიდის „რეალი" არ ავიწყდება, კასტილიური გრანდი, რომელთანაც ფერნანდოს ამდენი ტკბილ-მწარე მოგონებანი აკავშირებს. მორიენტესს ესპანური „ასის" ჟურნალისტი ესაუბრა.*



**— როგორ გრძნობთ თავს მონაკოში?**

— ჯერჯერობით ადაპტაციის პერიოდს გავდივარ, თუმც მინდა გითხრათ, რომ აქაურობამ უკვე ძალიან მომხიბლა. პატარა ქალაქია, ყოველი კუთხე-კუნჭული უცბად შემოვიარე და ხალხმაც გულთბილად მიმიღო.

**— თქვენმა ახლანდელმა გუნდმა იმედები გაგიმართლათ?**

— დიახ. სავსებით მისაღები და ძლიერი გუნდია. სათამაშო მოედანზე და მის გარეთაც ფეხბურთელთა შორის მტკიცე ერთიანობაა, რაც „მონაკოს" ლიდერობაში ეხმარება. ვთვლი, რომ კარგ გუნდში მოვხვდი.

**— ანუ მადრიდის „რეალის" დატოვებას არ ნანობთ...**

— იმის შემდეგ, რაც წინა სეზონში თავს გადამხდა, საეჭვო და საყოყმანო არაფერი მქონდა — მე მადრიდიდან უნდა წავსულიყავი. თუმცა, რა თქმა უნდა, ახალი, რიგიანი კლუბის ასარჩევად სიფრთხილე მმართებდა. სიტუაცია იმაზე უფრო რთული გამოდგა, ვიდრე მე თავიდან ვვარაუდობდი — მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შეძენით რამდენიმე ევროპული გუნდი დაინტერესდა, ვერც ერთმა მათგანმა „რეალის" ფინანსური მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილა. საბოლოოდ იჯარით მოვედი „მონაკოში", თუმცა ეს ამ ეტაპზე არა მგონია, ცუდი იყოს. მომავლის მჯერა და მზად ვარ, საფეხბურთო ფორტუნის ნებისმიერი გამოწვევა მივიღო.

**— და რა მოხდება ამ სეზონის ჩამთავრების შემდეგ?**

— არ ვიცი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მაგრამ „რეალთან" კონტრაქტით ისევ 2 წელი მიწევს თანამშრომლობა და ჩემი სამომავლო გეგმები ისევ მასთან ერთად უნდა გადავწყვიტო.

**— თქვენს მიერ სამეფო გუნდის მიტოვებაში ალბათ დამდეგმა ევროპის ჩემპიონატმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა...**

— დიახ, და საკმაოდ მნიშვნელოვანიც. თუ „რეალის" )ირითადში ვერ ვმთამაშებდი, ესპანეთის ნაკრების კარი ჩემთვის სამუდამოდ დაიხურებოდა. მჯერა, ახლა მაინც დააფასებენ ჩემს შრომას. „მონაკოში" სულ ძირითად შემადგენლობაში ვარ და სათადარიგოთა სკამზე ჯდომით ფორმას აღარ ვკარგავ.

**— ნაკრებში თქვენი კონკურენტი ფერნანდო ტორესია...**

— მართლაც ძლიერი კონკურენტი მყავს, ფერნანდო ტორესი ახალგაზრდა და დიდი მომავლის მქონე მობურთალია, ნაკრების თავკაცები მის ნიჭს ფრთხილად უნდა მოეპყრან. გადამეტებულმა დაძაბულობამ შეიძლება ამ ბიჭის ადრეული ჩაქრობა გამოიწვიოს.

**— „მონაკო" ერთადერთი კლუბი იყო, რომელმაც ხელსაყრელი წინადადება შემოგთავაზათ?**

— რამდენიმე სხვა საინტერესო შემოთავაზებაც იყო — „შალკე 04", „რომა", „ლაციო"... მაგრამ მე მაინც „მონაკო" ვარჩიე ორი მიზეზის გამო: პირველი — გამოცდილებით ვიცი, რომ ჩემი მოედანზე ჩაუქად ყოფნისთვის აუცილებელია, ჩემმა ოჯახმაც ყოველმხრივ კარგად იგრძნოს თავი. ჰოდა, მონაკოში მათ ამ მხრივ ყველაზე საუკეთესო პირობები ექნებათ. და მეორე — დიდიე დეშანის გუნდი ხომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს.

**— თქვენი „რეალიდან" წასვლის დროს ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ფერნანდო მორიენტესი ძალიან დიდ ანაზღაურებას ითხოვს და ამიტომაც კასტილიური გრანდი იძულებულია, მისი მსურველი კლუბები უარით გაისტუმროსო. ზოგიერთმა ფულხარბიც შეგარქვათ...**

— ეს სისულელეა, მსგავსი რამ არ დამიმსახურებია, ჩემთვის მთავარი ფული კი არა, ფეხბურთია. თუ „ფულხარბი" ვარ, რატომ „რეალში" არ დავრჩი? მშვიდად ვიჯდებოდი სათადარიგოთა სკამზე ან ტრიბუნაზე. რა, ცუდად მიხდიდნენ? ჩემს ყოფილ გუნდს სიკეთეს ვუსურვებ. მინდა, რომ წლევანდელი ჩემპიონთა ლიგაც მან მოიგოს, მე კი იმ პრემიალურ თანხაზე მეტად, რაც ამ ტურნირის გამარჯვებულზე გაიცემა, „მონაკოს" ძირითადში თამაში მომწონს.

**— ამბობენ, თქვენთვის თავისუფალი აგენტის სტატუსის მიცემა „რეალს" იმიტომ არ სურდა, რომ შეიძლებოდა, რომელიმე მისი უშუალო მეტოქის რიგებში მოხვედრილიყავით. მაგალითად, „ვალენსიაში".**

— „ვალენსიასთან" მართლაც მქონდა მოლაპარაკება, თუმც ეს უკვე ჩავლილი ამბავია და გახსენებად არ ღირს. ესპანეთში მაინც არ ვაპირებდი დარჩენას. პრიმერადივიზიონში 10 წლის თამაშის შემდეგ სათამაშო სივრცის შეცვლა მინდოდა.

**— ერთ-ერთმა თქვენმა ექსკომპანიერომ აღნიშნა, მსოფლიო მარტო მადრიდის „რეალი" არ არისო. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

— მის აზრს ვეთანხმები. მიუხედავად იმისა, რომ „რეალში" საოცარი 6 წელი გავატარე, არც დანარჩენი საფეხბურთო სამყაროს არსებობა დამვიწყებია. მადრიდის გარდა სხვაგანაც შეიძლება რიგიანად ცხოვრება.

**— „მონაკოში" გადასვლა თქვენს კარიერაში უკან გადადგმული ნაბიჯი ხომ არ იქნება?**

— არა, ამას როგორც ახალ გამოცდას ისე ვუყურებ. ფრანგულ ლიგაში ისეთი ვარსკვლავთცვენა არ არის, როგორც ესპანურში ან იტალიურში, მაგრამ იქ ფიზიკური დატვირთვა ძალიან ძლიერია. მთელი 90 წუთის განმავლობაში უნდა ირბინო, მატჩის მოგება რომ შეძლო.

**— განვლილ სეზონს როგორ შეაფასებდით?**

— ჩემს პროფესიულ კარიერაში ყველაზე ძნელი წელი იყო. სულ სხვაგვარ სიტუაციას ვიყავი მიჩვეული და უცებ ყველაფერი თითქოს უკუღმა დატრიალდა. ყველაზე უფრო მეტად კი მაშინ დამწყდა გული, როდესაც გუნდის პრეზიდენტისა და მის ხელქვეითთა ჩემდამი დამოკიდებულება შევიტყვე — ვისენტე დელ ბოსკე აშკარად უფროსობიდან იღებდა ბრძანებებს, მორიენტესი ძირითადში არ ათამაშო, რათა ამით მისი კლუბიდან წასვლა გაადვილდესო.

**— და მიუხედავად ამისა, ცოტა ხნის წინ ფრანგულ მედიას განუცხადეთ, რომ მადრიდის „რეალის" ერთგული რჩებით...**

— მთელი სულით და გულით. ვერავითარი უსიამოვნება ამ გუნდის სიყვარულს ვერ დამავიწყებს. პრეზიდენტებიც იცვლებიან, მწვრთნელებიც და მოთამაშეებიც, „რეალი" კი უკვდავია. კი, შეიძლება, ამ ბოლო დროს ხელმძღვანელობასთან უთანხმოება მომივიდა, მაგრამ 6 წელიწადი საფეხბურთო ზღაპარში გავატარე და ვინმემ რომ მითხრას, სამეფო გუნდის პატივისცემა რატომ გაქვსო, უბრალოდ გამეცინება. მინდა, ყველამ იცოდეს — „ელ მორო" „რეალს" თავისი გულიდან არასოდეს ამოშლის.

# შვიდი და მმრე ალანი

## მთავარი ჩაქუჩი 300 ათასად



ალან პერდიუ

**„ვესტ ჰემმა"** 380 ათასი გირვანქა გადაიხადა და „რიდინგიდან" ალან პერდიუ გამოისყიდა — ამგვარად ლონდონელებმა თავიანთ ძირითად მიზანს მიაღწიეს და თანამდებობიდან გაშვებული გლენ როედერის ნაცვლად მწვრთნელად ახალი კაცი მიიყვანეს.

აღსანიშნავია, რომ „ვესტ ჰემს" ზემოხსენებული თანხის გადახდა არ სურდა, ეს უმაღლესმა სასამართლომ აიძულა.

„ბედნიერი ვარ, რომ ალანი დავიბევეთ — განაცხადა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა პოლ ოლდრიჯმა — ჩემთვის სწორედ ის გახლდათ ყველაზე სასურველი კანდიდატურა, თუმცა მის „რიდინგიდან" გაშვებას ამდენი წვალება არ უნდა დასჭირვებოდა. და მაინც, საღმა აზრმა გაიმარჯვა, „ვესტ ჰემის" დირექტორატმაც გაითვალისწინა და დააფასა ის უდიდესი სამუშაო, რომელიც ტრევორ ბრუკინგმა გაგვიწია. ასე რომ, ოქტომბერში ბრუკინგი უმტკივნეულოდ შეიცვლება."

დღეისთვის უცნობია რას იზამს პერდიუ, რომელმაც „რიდინგი" გასულ სეზონში პირველი დივიზიონის პლეი ოფებამდე მიიყვანა, გამოცვლის თუ არა ვინმეს მწვრთნელთა გუნდიდან ან საკუთრივ ფეხბურთელთაგან, ყოველ შემთხვევაში, ჯერ შვიდი თამაში ისევ ბრუკინგისაა (შემდეგ დირექტორატში გადადის), პერდიუს კი შეუძლია ამასობაში იფიქროს.

აქვე გაგაცნობთ ალან პერდიუს მოკლე ბიოგრაფიას. იგი 1961 წელს უიმბლდონშია დაბადებული. 1987 წელს „კრისტალ პალასში" „იეოვილიდან" მივიდა. 1991 წელს „ჩარლტონის" ფეხბურთელი გახდა. 1995 წელს ერთი თვით „ტოტენჰემში" იყო, შემდეგ კი აქეთ-იქით, უსახელო გუნდებში იხეტიალა და 1999 წელს მწვრთნელობას შეუდგა.

**პაპუნა ძედია**



# ხმა ამოიღე, ბიჭო!

## სტანკოვიჩი ლაციოს დუმილით ელაპარაკება

**კვლავ** გრძელდება უთანხმოება დეიან სტანკოვიჩსა და რომის „ლაციოს" ხელმძღვანელებს შორის. უთანხმოების მიზეზი სერბის დუმილია.

ბოლო ორი კვირაა, „ლაციოს" აღმასრულებელი დირექტორი ლუკა ბარალდი გაიძახის, გაგვაგებინოს სტანკოვიჩმა, რჩება თუ არა ჩვენთანო, მაგრამ ფეხბურთელი ჯერჯერობით ხმას არ იღებს. არადა, რომაელებს ეჩქარებათ, რადგან მოქმედი კონტრაქტის თანახმად, სერბი ბოლო სეზონს ატარებს „სტადიო ოლიმპიკოზე" და თუ ვერ შეთანხმდნენ დედაქალაქურმა კლუბმა იანვარში ნახევარმცველის სარფიანად გაყიდვაზე უნდა იზრუნოს.

როგორც იცით, სტანკოვიჩის მსურველები ზაფხულის სატრანსფერო პერიოდშიც არ აკლდა, მაგრამ „ლაციომ" ყველა შემოთავაზება შორს დაიჭირა. ჩვენი ლიდერის გაყიდვას არ ვაპირებთ და პირიქით, კონტრაქტს ვუხანგრძლივებთო. ამაზე სტანკოვიჩიც თანახმა იყო, მაგრამ მერე ხელფასზე ვერ შეთანხმდნენ. შემდეგი ხუთი სეზონის მანძილზე სერბმა ნახევარმცველმა წელიწადში 1,8 მილიონი მოითხოვა. რომაელები კი ჯიუტად აცხადებენ 1,5 მილიონ ევროზე მეტის გადამხდელები არა ვართო.

ახლა კი „ლაციომ" სტანკოვიჩს ულტიმატუმი წაუყენა — უახლოეს დღეებში გაგვაგებინე, რჩები თუ გაგყიდოთო. ბარალდიმ ფეხბურთელს ისიც შეახსენა, შენზე დიდი ამბავი გვაქვსო.

**გიორგი ძაძაბაძე**



ჯინა დევიომ, ბესტი ვირთხაა

# ქეიფს იწყებს დილიდან

## ასი გრამი და ქალი, ქალი...

**საცოდავი კაცია** „მანჩესტერ იუნაიტედის“ ოდინდელი ვარსკვლავი ჯორჯ ბესტი, რომელსაც, მოგეხსენებათ, ახალი ღვიძლი ჩაუდგეს, რადგან მისი ლოთობისგან ამოსაჭრელი და გადასაგდები გახდა. ბესტს დღევანდლამდე ცოცხალს რომ ვერ მოეღწია, გასაკვირი არაფერი იქნებოდა. გასაკვირი უფრო ის არის, რასაც ეს 59 წლის კაცი ახლა სჩადის, თუმც სანამ ამას გიამბობდეთ, ისიც ვთქვათ — ხომ ფაქტია, კაცი ლოთია, მოწესრიგებული ცხოვრება არ შეუძლია, ქალის ერთგულება (თუნდაც ეს ქალი მისი სიცოცხლის შემნარჩუნებელი და მფარველი იყოს) არ ესმის რა არის და ზედაც ეს გაზეთი „სანი“ ჩასაფრებია, რათა მისი ყოველი ნაბიჯი მეორე დღესვე გამოაჭენოს საქვეყნოდ.

თუმცა, მორალურ საკითხებზე ნუ ვილაპარაკებთ, რადგან სიმართლე ყველას თავისი აქვს, მათ რიცხვში „სანსაც“, რომელმაც შესაძლოა გიპასუხოთ, რომ მისტერ ბესტმა ღვიძლის გამოსაცვლელად დიდძალი ფული სწორედ მისი და მისნაირი გაზეთებისა თუ ტელეარხების წყალობით იშოვნა. ანუ პოპულარობას და დევნას უნდა უმადლოდეს, თორემ იქნებოდა ერთი ბოგანო და ნახავდა როგორ გადაუხდიდა ბრიტანეთის საუკეთესო მედიკოსებს ან როგორ იყიდდა ვილაც საბრალოს სხეულის ნაწილს.

ერთი სიტყვით, ეს თემა შორს წაგვიყვანს, არ გვინდა. მოკლედ ვთქვათ, რომ ინგლისში სწამთ: თუ გინდა იყო ცნობილი და მდიდარი, კეთილი ინებე და იცოდე, რომ ერთ მშვენიერ დღეს შენს შესახებ დაიწერება ისიც, რასაც სიამოვნებით დამალავდი და მალავდი კიდეც.

ახლა კი ბესტს დავუბრუნდეთ. ბესტი საყვარელს მალავდა, ორი შვილის დედას ჯინა დევივოს. საერთოდ, დიდი არეული დღე ჰქონდა ყოფილ ვარსკვლავს ამ ცოტა ხნის წინ. სმა დილის 11 საათზე დაიწყო. დაუთვალეს — რვა ბაკარდი დიეტურ კოკა-კოლასთან ერთად და ზედ ხუთი ჭიქა თეთრი ღვინო შეუკვეთია. ერთი სიტყვით, ბესტი დათვრა და იმით დაიწყო, რომ იქვე, ბარში მჯდომ ქალს აეტორღიალა.

„უგონოდ იყო მთვრალი, ცდილობდა დამყრდნობოდა — მოუთხრო შემდეგ ქალმა, 26 წლის რიანი ტომასმა „სანს“ — ვუთხარი, რომ კაცს ველოდებოდი, მან კი მიპასუხა, გოგოს რომ დალოდებოდი, სამივენი ერთად მოვაწყობდით ორგიასო. შემდეგ ჩემს საჯდომზე თქვა რაღაცეები. აზრზე არ იყო“.

იმავე ბარში იჯდა პროფილაქტიკის მავანი ხელოსანი, სახელად ნილი, რომელმაც „სანს“ უამბო, რომ ბესტი თავის ცოლზე ამბობდა ცუდ რამეებს: „ის თუ გარშემო ყველასთან..., ჩემთვის რატომ არ შეიძლებაო“.

იქვე, ბარში, ბესტი „სანის“ ფოტორეპორტიორზე, გერი სტოუნზე გაიქაჩა, ჯერ ცდილობდა მისთვის აპარატი დაემტვრია, შემდეგ კი სახეში დარტყმას აპირებდა, მაგრამ ვერც ერთი მოახერხა და ვერც მეორე, რის შემდეგაც ვილაც პოლიციაში დარეკვით დაემუქრა და ისიც კიდევ ერთის გადაკვრის შემდეგ, ზემოხსენებულ პროფილაქტიკის მუშასთან ერთად წავიდა. მუშა საჭესთან დასვა.

აი, ამის შემდეგ მივიდა ბესტი ზემოხსენებულ საყვარელთან, რომელსაც „სანმა“ ორი დღის მერე მიაკითხა და პასუხად მიიღო: „ბესტი ვირთხაა. არ დამენახოს“.

ცოლმა, ალექსმა, ყველაფერი გაზეთიდან შეიტყო.

**პაპუნა ქედია**

# დამალეს ფეხები!

## ბექემს თავზე შავი ტილო ჩამოაცვეს

**თეირანში** დევიდ ბექემი გააშავეს — იმის თქმა გვინდა, რომ ირანის დედაქალაქში ხუთი ვეება სარეკლამო დაფა იდგა „რეალისა“ და ინგლისის ნაკრების ვარსკვლავის სახის გამოსახულებით და ეს სამანქანო ძრავის ზეთის რეკლამა იყო, მეტი არაფერი, მაგრამ მათ შავი ნაჭრები ჩამოაცვეს. აკრძალეს ტელერეკლამაც, სადაც ბექემის ფეხები ჩანდა.

„ეს ღამით მოხდა. რამდენიმე დღის წინ — გაანდო „როიტერს“ სარეკლამო კომპანიებთან დაახლოებულმა ადამიანმა — მათ დაიარეს დაფები და შავი ნაჭრები ჯერ ბექემის სახეს, ხოლო შემდეგ ყველაფერ დანარჩენს ჩამოაცვეს“.

მიზეზი: ბექემი დასავლური ცხოვრებისა და კულტურის პროპაგანდაა.

დევიდ ბექემი ირანისთვის, 1949 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ პირველი დასავლეთელი სელებრითი გახდა და მისი გამოსახულება სარეკლამო კომპანიამ გამოიყენა, მაგრამ თეირანის ქალაქის საბჭომ ამას მხოლოდ სამი კვირა გაუძლო, შემდეგ კი დადგენილება გამოიტანა.

ქალაქის საბჭოს პატივცემული წევრები „როიტერმა“ კომენტარისთვის ვერ მოიხელთა.

სარეკლამო კომპანია კი თავისი მეთოდების დახვეწას ფიქრობს და გეგმავს მომავალში დაფებზე ბექემის სახე კი არა, კეფა გამოაჩინოს, ხოლო სატელევიზიოდ ვარსკვლავს ძალიან გრძელი შორტები, თითქმის გრძელი შარვალი ჩააცვას.

ცნობისთვის: ირანში შორტების ჩაცმა აკრძალულია, თუმცა ტელევიზიით ფეხბურთის ჩვენება ნებადართულია.

**პაპუნა ქედია**




იაპონიაში კი დევიდ ბექემს არას ერჩიან

# თურქთა დუმილი

## სიტყვა და ზვავი ერთი იქნება



სვენ გორან ერიკსონის სამშვიდობო ინიციატივა თურქებმა ყურად არ იღეს

თურქული ფეხბურთის შეფები ინგლისის ნაკრების შვედი მწვრთნელის, სვენ გორან ერიკსონის სამშვიდობო ინიციატივას არ გამოეხმაურნენ — მოგეხსენებათ, ერიკსონს მის კოლეგასთან, შენოლ გიუნეშთან შეხვედრა და ერთობლივი მოწოდების შექმნა სურდა, რათა 11 ოქტომბერს, სტამბოლში, თურქეთ — ინგლისის შეხვედრაზე, ხალხმა ერთმანეთი არ დახოცოს.

აი, რა თქვა თურქეთის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა გობანოღლუმ: „გვიჯობს, საგანგებო ღონისძიებებს არ მივმართოთ და მატჩს ჩვეულებრივ მატჩივით მივუდგეთ. ბატონი ერიკსონი კარგი ადამიანია, მაგრამ რატომ უნდა შევხვდეთ? ჩვენთვის ეს რიგითი თამაშია. დიახ, უსაფრთხოების თვალსაზრისით მას გარკვეული რისკი ახლავს, მაგრამ ხულიგნებზე რატომ უნდა ვისაუბროთ? ჩვენ ინგლისელ ხალხთან მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს და თუ აქცენტს ხულიგნებზე გავაკეთებთ, შესაძლოა, მეგობრები დავკარგოთ“.

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ სტამბოლში გასამართ შეხვედრაზე სტუმრისთვის კუთვნილი ბილეთები არ მოითხოვა და თანამემამულეებს თურქეთში მოგზაურობისგან თავის შეკავება ურჩია.

შენოლ გიუნეშმა კი მშრალად ბრძანა: „თამაშამდე არაფერს ვილაპარაკებ. მეც რომ ერთი ამბავი ავტეხო და კიდევ სხვები ამყვნენ, ზვავივით აგორდება“.

**პაპუნა ქედია**

სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“
რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,
I კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

# მამალთმთავრისთვის წყალი აადუღეს

## ჰოდლს გაპუტვას უპირებენ

| VI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ასტონ ვილა | — | ჩარლტონი |
| ფულემი | — | სიტი |
| ლიდსი | — | ბირმინგემი |
| ლივერპული | — | ლესტერი |
| ნიუკასლი | — | ბოლტონი |
| პორტსმუთი | — | ბლეკბერნი |
| ტოტენჰემი | — | საუთჰემპტონი |
| ვულვზი | — | ჩელსი |
| **ხვალ** | | |
| მანჩესტერი | — | არსენალი |
| მიდლსბრო | — | ევერტონი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| მანჩესტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:2 | 12 |
| სიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:6 | 10 |
| ჩელსი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:6 | 10 |
| პორტსმუთი | 5 | 2 | 3 | 0 | 8:3 | 9 |
| საუთჰემპტონი | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 9 |
| ლივერპული | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 8 |
| ბირმინგემი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| ფულემი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 7 |
| ბლექბერნი | 5 | 1 | 2 | 2 | 12:11 | 5 |
| ლესტერი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:7 | 5 |
| ჩარლტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| ევერტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:10 | 5 |
| ლიდსი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:10 | 5 |
| ბოლტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:10 | 5 |
| ასტონ ვილა | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| ტოტენჰემი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| ნიუკასლი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:7 | 2 |
| მიდლსბრო | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | 1 |
| ვულვზი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:12 | 1 |

ინგლისში გლენ ჰოდლის მოხსნაზე ალაპარაკდნენ. ხუთ მატჩში შეკოწიწებულმა ოთხმა ქულამ „ტოტენჰემის" მწვრთნელს სკამი შეურყია. ბრიტანულ პრესაში ჰოდლის სავარაუდო შემცვლელებიც დაასახელეს. მათ შორის ალექს მაკლიში, მარტინ ონილი და „პორტსმუთის" თავკაცი ჰარი რედნაპი.

„ტოტენჰემის" პატრონმა შემადგენლობის გასაძლიერებლად ზაფხულში 20 მილიონი გირვანქა დახარჯა და შედეგად ცხრილში ბოლოდან მეოთხე ადგილი მიიღო.

„მამლების" მწვრთნელი მშვიდადაა: „გუნდი კარგად რომ ვერ თამაშობს, საამისოდ სხვათა მითითება არ მჭირდება. თვითონ ყველაფერს ვხედავ და ვაკონტროლებ. ბეჯითად ვშრომობ იმისთვის, რომ ვითარება გამოსწორდეს. მე მიყვარს „ტოტენჰემი" და აქედან თავდახრილი წასვლას არ ვაპირებ. „საუთჰემპტონთან" საბრძოლველად ბიჭები მზად არიან. გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელია და მათ შესაგუებლად დრო სჭირდებათ".

„საუთჰემპტონი" იმ ხუთეულშია, რომლებსაც ჯერ არ წაუგიათ. წმინდანთა შემტევი წყვილი, ჯეიმს ბიტი და კევინ ფილიპსი ჯანზე არიან და „ტოტენჰემის" მცველებმაც სწორედ მათ უნდა სდიონ.

ჟერარ ულიეს „ლივერპული" ბოლო ორ ტურში მოსულიერდა და ექვსი გოლიც მიითვალა, მაგრამ „ბლექბერნთან" მოგება მერსისაიდელებს ძვირად დაუჯდათ. კარგერი ფეხმოტეხილია, მილან ბაროშიც დაშავებულია და „ლივერპულის" თავკაცს ახალი თავსატეხი გაუჩნდა.



გლენ ჰოდლი იხტიბარს არ იტეხს

„ენფილდ როუდზე" მასპინძლები „ლესტერს" დაუხვდებიან. ლესტერელებმა ხუთი დღის წინ „ლიდსი" გაალახეს. სემი ჰიპია და მისი თანაგუნდელები განსაკუთრებით მარკუს ბენტს და პოლ დიკოვს უნდა უფრთხილდნენ.

პრემიერლიგის მორიგი ტური ვულვერჰემპტონში დაიწყება. იქაურები ლონდონის „ჩელსის" დაუხვდებიან. ხუთ მატჩში მხოლოდ ერთი გოლის გამტან „მგლებს" რომან აბრამოვიჩის ნარჩევ ბიჭებთან, ცხადია, გაუჭირდებათ. შესაძლოა, კლაუდიო რანიერიმ ადრიან მუტუ დაასვენოს. რუმინელს მცირე ტრავმა აწუხებს.

ვულვერჰემპტონოლთა მოგება „ნიუკასლსაც" სწყურია. ბობი რობსონის „კაჭკაჭებმა" სეზონის დასაწყისში ძალიან იზარმაცეს, ამიტომ „სენტ ჯეიმს პარკი" მხოლოდ გამარჯვებას ელის. სემ ალარდაისის „ბოლტონს" ფრანგი მცველი ფლორან ლავილი დააკლდება.

დევიდ ოლირის „ასტონ ვილა" „ჩარლტონს" უმასპინძლებს. ორივეს მხოლოდ თითო მოგება აქვს. ბირმინგემში სამი ქულისთვის დიდი ბრძოლა გაიმართება. „ვილას" საკუთარი ფანების წინაშე „მანჩესტერ სიტისგან" ნაწვნევი (1:4) მარცხის მოწმენდა სწადია.

ლონდონში ერთმანეთს საკმაოდ ფხიანი გუნდები დაეჯახებიან. კრის კოულმენის „ფულემი" კევინ კიგანის „მანჩესტერ სიტის" მიიღებს. სიტელ ნიკოლა ანელკას მეორე სუნთქვა გაეხსნა და წინა ტურში ჰეთ თრიქი შეასრულა. სტუმრებს ტრავმამოშუშებული ჰოლანდიელი პოლ ბოსველტიც დაუბრუნდებათ და ალბათ თვალსასეირო ბურთაობაც გაჩაღდება.

ლესტერში შერცხვენილი „ლიდსი" კერკეტ „ბირმინგემს" უმასპინძლებს. ბირმინგემელთა დამარცხება აქამდე ვერავინ შეძლო და მათთვის რქების მომტვრევას ყმაწვილი ლიდსელები შეეცდებიან.

გამარჯვებამოწყურებული „მიდლსბრო" „ევერტონს" უმასპინძლებს. „ბოროს" მწვრთნელი სტივ მაკლარენი ლივერპულელთა დასამარცხებლადაა მომართული. ძირითად შემადგენლობას რამდენიმე ტრავმამოშუშებული ფეხბურთელი დაუბრუნდა, თუმცა უგო ეჰიოგუ დაშავებულა და მაკლარენის სადარდებელიც ესაა.

# მანჩესტერი VS არსენალი

## ლხინის და მწუხარების ომი

ხვალ „ოლდ ტრეფორდზე" ერთმანეთს ორი ლომი, „მანჩესტერ იუნაიტედი" და ლონდონის „არსენალი" შეასკდება. პრემიერლიგაში ისინი 22-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს „წითლებმა" 9-ჯერ მოიგეს, „მეთოფეებმა" 7-ჯერ, დანარჩენი მატჩები კი ზავით დასრულდა.

მანჩესტერულ დაპირისპირებაში მასპინძლებს ექვსჯერ უმარჯვიათ, ლონდონელებს ოდენ ორჯერ, სამი თამაში კი ფრედ დამთავრებულა.

„არსენალმა" ბოლოს „ოლდ ტრეფორდზე" შარშან მაისში 10 იმძლავრა. მაშინ სტუმრები ვილტორდმა ახეირა. ფრანგმა ხვალ რომ ითამაშოს და ორიც გაიტანოს, „არსენალის" მაისურით 100 მატჩი და 50 გოლი დაუგროვდება.

არსენ ვენგერს ყველა ფეხბურთელი მწყობრში კი ჰყავს, მაგრამ „ინტერისგან" შერცხვენილთ, გალალებულ „მანჩესტერთან" ბრძოლა ალბათ გაუჭირდებათ. სოლ კემპბელი ალბათ, არ იქნება. კემპბელის 74 წლის მამა გულის შეტევით გარდაიცვალა და თვითონ ფეხბურთელი გადაწყვეტს, ითამაშებს თუ არა.

ლონდონელთა ფრანგი თავკაცი ასე ბჭობს: „ფაქტია, „ინტერთან" დიდი ანგარიშით დავმარცხდით, მაგრამ წუწუნს და ტირილს არ ვაპირებთ. მთავარია, ახლა „მანჩესტერთან" საომრად განვეწყოთ. „არსენალი" პრემიერლიგას ლიდერობს და ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი. უნდა ვაჩვენოთ, რომ უტეხი სული და მტკიცე ნებისყოფა გვაქვს. საკვირაოდ განსაკუთრებულად ვემზადებით, რადგან მეტოქე „პანათინაიკოსთან" მოლხენის შემდეგ კარგ ხასიათზეა".

პატრიკ ვიეირა: ამ მცირე შოკიდან სწრაფად გამოსვლა გვმართებს. ხვალვე მოგვიწევს იმის დამტკიცება, რომ „ინტერთან" იღბალმა გვიმუხთლა, თუმცა ეს ძალიან ძნელი იქნება".

სოლ კემპბელის არყოფნაში შესაძლოა ვენგერმა მარტინ კიოუნი ან პასკალ სიგანი ათამაშოს, რომელიც ტრავმირებული იყო და ახლახან მოკეთდა.

„მანჩესტერში" მეტოქეთა ბოლო შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით (2:0) დასრულდა. ეს შარშან დეკემბერში მოხდა. გოლები ვერონმა და სქოულზმა მიითვალეს. ხვალ ისინი გუნდს ვერ დაეხმარებიან. ხუან სებასტიანი „ჩელსისთვის" ირჯება, სქოულზი კი დაშავებულია და უკვე სამი კვირაა, ისვენებს.

ალექს ფერგუსონს ვესლი ბრაუნი და ბრაზილიელი კლებერსონიც არ ეყოლება როი კინის გამოჩენაც საეჭვოა. ირლანდიელმა თუ მაინც შეძლო თამაში ეს საიუბილეო, მე-400 მატჩი იქნება „მანჩესტერის" მაისურით. კლუბის ექი-



სოლ კემპბელმა ვინძლო, ფეხბურთისთვის ვერ მოიცალოს

მები შიშობენ, კინს რომ ფეხი გაუმიზეზდეს, მერე ქირურგიული ჩარევა დასჭირდება. თავად 32 წლის ფეხბურთელს, ცხადია, „არსენალის" წინააღმდეგ ომი სწადია, მაგრამ ყველაფერი ექიმებზე იქნება დამოკიდებული.

ჯონ ოშის, ნიკი ბათსა და ოლე გუნარ სოლსკიაერს უმნიშვნელო ტრავმები მოუშუშდათ და ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნებიან.

აქვე გავიხსენოთ, რომ „მანჩესტერი" და „არსენალი" სეზონის წინ „ჩარითი შილდსისთვის" (სუპერთასი) შეხვდნენ ერთმანეთს და თამაში სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა მოიგო.

მთავარ მსაჯობას ორპინგტონელი სტივ ბენეტი გასწევს. ბარათების დამთვლელთა საყურადღებოდ: ბენეტმა ამ სეზონში ორ მატჩში იმსაჯა. მის ანგარიშზე ერთი წითელი და 7 ყვითელი ბარათია.

**ვაჟა ხუციშვილი**



ტრავმას ისეთი პირი უჩანს, რომ ტიერი ანრის როი კინი ხვალ მოედანზე ვერ ნახავს

## გერმანია

დავით თავართქილაძე

# კანი ოკულისტამდე კარში ჩადგება?

## ორი ნოყიერი თამაში

| VI ტური | | |
| --- | --- | --- |
| **დღეს** | | |
| ჰანოვერი | — | გლადბახი |
| ფრაიბურგი | — | შალკე |
| შტუტგარტი | — | დორტმუნდი |
| ვერდერი | — | მიუნხენი |
| კიოლნი | — | ვოლფსბურგი |
| ბაიერნი | — | ლევერკუზენი |
| ბოხუმი | — | ჰერტა |
| **ხვალ** | | |
| ჰამბურგი | — | ჰანზა |
| აინტრახტი | — | ლაუტერნი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ლევერკუზენი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:3 | 12 |
| შტუტგარტი | 5 | 3 | 2 | 0 | 5:0 | 11 |
| დორტმუნდი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| ვერდერი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 10 |
| ბაიერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:7 | 10 |
| მიუნხენი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:5 | 10 |
| ვოლფსბურგი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:10 | 9 |
| ჰანოვერი | 5 | 2 | 2 | 1 | 12:12 | 8 |
| ბოხუმი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 |
| ფრაიბურგი | 5 | 1 | 3 | 1 | 9:9 | 6 |
| შალკე | 5 | 1 | 3 | 1 | 6:8 | 6 |
| ჰანზა | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | 5 |
| აინტრახტი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| გლადბახი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |
| კიოლნი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:7 | 3 |
| ჰერტა | 5 | 0 | 3 | 2 | 2:6 | 3 |
| ლაუტერნი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 1 |
| ჰამბურგი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:12 | 1 |

„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა

ეპიცენტრი მიუნხენია — ბავარიის დედაქალაქში „ბაიერნი" ლიდერ "ლევერკუზენს" მასპინძლობს. წინა ტურში ოტმარ ჰიცფელდის გუნდი მიმდინარე ბუნდესლიგაში პირველად დამარცხდა — გასვლაზე „ვოლფსბურგმა" ამოაყირავა 3:2 და ახლა მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება თუ დააწინაურებს.

მაგრამ კაი ჯანზეა კლაუს აუგუნტალერის „ლევერკუზენი" — ამ მწვრთნელის ხელში ფარმაკოლოგები წინა სეზონში ბუნდესლიგიდან გავარდნას გადაურჩნენ და ახლა მთლად თვალში გამოიხედეს. სტატისტიკა კი ღაღადებს, რომ მიუნხენში „ლევერკუზენმა" ბოლო ცხრა შეხვედრა წააგო.

თუმცა სერიები უწყვეტი არაა, თანაც „ბაიერნის" გასაჭირზეც ვთქვათ — სებასტიან დაისლერი, მეჰმეთ შოლი და იენს იერემისი ტრავმიანობის გამო ვერ ითამაშებენ.

მაგრამ ესეც არაა მთავარი. ოთხშაბათს „ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგაში შინ „სელტიკი" წაქცია 2:1 და იმ შეხვედრაში საეჭვო იყო ოლივერ კანის თამაში — მისი მინდორზე გაყვანა ბოლო წამს გადაწყდა. მიზეზი გნებავთ? ინებეთ — კანის თვალებს რაღაც უცნაური სენი სჭირს. ამის შესახებ გუშინ ჰიცფელდმაც განაცხადა: „ეს კანს ძალიან დიდ პრობლემებს უქმნის. ექიმებმა ის გასინჯეს, მაგრამ ზუსტად ჯერ არავინ იცის, თუ რატომ აქვს დაზიანებული კანს მხედველობა. ოლის მალე უშუალოდ თვალის სპეციალისტი გასინჯავს."

ითამაშებს კი კანი „ლევერკუზენის" წინაღმდეგ? როგორც ჰიცფელდმა თქვა, კანი ფიქრობს, რომ თამაშს შეძლებს. ერთი სიტყვით, თუ კანი დღეს მინდორზე არ იქნება, ნუ გაგიკვირდებათ.

ნოყიერი მატჩია შტუტგარტშიც — ფელიქს მაგათის ბიჭებს არგაშვებული გოლის ხუთმატჩიანი ციკლი „რეინჯერსმა" შეუწყვიტა და ახლა „დორტმუნდიც" შეეცდება ფხის გამოჩენას — მათიას ზამერის გუნდი ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა, რაშიც მაგათელებსაც მიუძღვით ბრალი — წინა ბუნდესლიგის მიწურულს სწორედ „შტუტგარტმა" დააცურა მეორე ადგილიდან მესამეზე „დორტმუნდი", ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე კი ავტომატურად მხოლოდ პირველ-მეორე ადგილოსნები გადიოდნენ.

ჩავუყვეთ ცხრილს ქვევით და ინტრიგული „მიუნხენ 1860"-იც გამოტყვრება. „ცისფერ ლომთა" დანაკლისი ისაა, რომ ბულგარელი შუახაზელი დანიელ ბორიმიროვი დისკვალიფიცირებული და დაშავებულია.

„ვოლფსბურგი" წინა ტურში „ბაიერნის" ძლევის გარდა იმადაცაა ფრთაშესხმული, რომ მისმა ახალშენაძენმა ფერნანდო ბაიანომ კანს ორი გოლი გაუტანა — ბაიანოსგან ახლა „კიოლნის" კარის დალაშქვრას ელიან.

ჰუუბ სტევენსს უკვე უსტვენენ — მისმა გაწვრთნილმა „ჰერტამ" ამ ბუნდესლიგაში ჯერ თამაში ვერ მოიგო და ძალიან გაუჭირდება ბოხუმშიც.

წყალი შესდგომია წინა სეზონში ნაქებ ერიკ გერეტსაც, ვინც „ლაუტერნი" გავარდნისგან იხსნა — ფრანკფურტში მძიმე თამაში იქნებაო, ვარაუდობენ გერმანიაში.

სამსეზონოდ გამარჯვების გემო არც „ჰამბურგმა" იცის — ხვალ კურტ იარას გუნდმა „ჰანზას" უნდა მოუგოს — ასეთია პროგნოზი.



ოლივერ კანს თვალს დააკლდაო

## ესპანეთი

კოტე კეკელია

# ვინ დაისვით თავზე, პატივცემულო?

| IV ტური | | |
| --- | --- | --- |
| **დღეს** | | |
| ბარსელონა | — | ოსასუნა |
| ატლეტიკო | — | ვალენსია |
| **ხვალ** | | |
| ბეტისი | — | რასინგი |
| დეპორტივო | — | ალბასეტე |
| სოსიედადი | — | სარაგოსა |
| ვალიადოლიდი | — | ესპანიოლი |
| მალიორკა | — | სევილია |
| ვილიარეალი | — | სელტა |
| მურსია | — | ბილბაო |
| მალაგა | — | რეალი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| დეპორტივო | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:4 | 7 |
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ვალენსია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ოსასუნა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| სოსიედადი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ვილიარეალი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ბეტისი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| რასინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| სევილია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ვალიადოლიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:8 | 4 |
| ბილბაო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 3 |
| სარაგოსა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ატლეტიკო | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| მალიორკა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ესპანიოლი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| სელტა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| მურსია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| მალაგა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |
| ალბასეტე | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |



ნიჰათ კაჰვეჩი

ღრმადპატივცემულ ფლორენტინო პერესს საქმეები ისე აქვს აწყობილი, რომ გინდა თუ არა, ყურადღება მისი ვარსკვლავური „რეალისკენ" გაქვს მიპყრობილი და ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ გუნდს ვინმემ კონკურენტობა შებედოს. მაგრამ ცხრილსაც ჩავხედოთ, სადაც ნათლად ჩანს, რომ „რეალის" თავზე „დეპორტივო" წამოსკუპებულა და ცხრილის კენწეროდან ჩამობრძანებას სულაც არ აპირებს — ყოველ შემთხვევაში, ამ ტურში მაინც, რაკი მეტოქედ იმავე ცხრილის ფსკერზე დალექილი, პრიმერადივიზიონის ახალწვეული „ალბასეტე" ჰყავს, თანაც საშინაო მატჩში. ამ გუნდების საქმე საპირისპიროდაა — „სუპერდეპორმა" აქამდე ქულების 100 პროცენტი შეაგროვა, ალბასეტელებმა კი ამდენივე პროცენტი დაკარგეს. ჰოდა, განა მტკიცება უნდა, რომ „დეპორტივო" უდავო ფავორიტია?

ამ ტურში ისე მოხდა, რომ თუ ლიდერი და აუტსაიდერი ერთმანეთს შეეყარნენ, მეორეადგილოსანი ბოლოსწინაადგილოსანს ხვდება.

